ანბანი წრეში

მოსწავლეები ასახელებენ ბარათზე გამოსახული ასოს შესაბამის ბგერას და მასზე დაწყებულ სიტყვას.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: ფერადი ბარათები ანბანის ასოებით (თითო ბარათზე თითო ასო), მაგნიტოფონი/ლეპტოპი, ქუდი/ტომარა.

მსვლელობა

- მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი ფერად ბარათებზე დაწერილ, ბავშვებისთვის ნაცნობ ასოებს მოათავსებს ქუდში/ტომარაში.
- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო ბარათს, ჯერ ასახელებენ ასოს-ბგერას, შემდეგ კი - მასზე დაწყებულ სიტყვას.
- მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი დაასახელებს ასო-ბგერას, მოსწავლეები იატაკზე წრიულად აწყობენ ბარათებს. მასწავლებელი რთავს სახალისო, რიტმულ მუსიკას (ან უკრავს ტაშს) და მოსწავლეები იწყებენ წრეზე მოძრაობას საათის ისრის მიმართულებით.
- გარკვეული დროის შემდეგ მასწავლებელი წყვეტს მუსიკას. მოსწავლეები ჩერდებიან მათ წინ მდებარე ბარათთან და ასახელებენ ბარათზე გამოსახულ ასო-ბგერაზე დაწყებულ სიტყვას. თუ რომელიმე ვერ მოახერხებს სიტყვის დასახელებას, მასწავლებელი სთხოვს სხვა მოსწავლეს, დაეხმაროს მეგობარს.

ვარიაცია

შეიძლება მასწავლებელმა ცოტა გაართულოს დავალება და მოსწავლეებს სთხოვოს ისეთი სიტყვის დასახელება, რომელიც არ იწყება მოცემულ ასო-ბგერაზე, მაგრამ შეიცავს მას.